პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

30 აგვისტო, 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16.07.2014, №010250040.35.123.016211), კერძოდ:

1. დადგენილების დანართის 39^3 მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „2^1. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის 2/3-ით ირჩევს საბჭო.“
2. დადგენილების დანართის 39^3 მუხლის მესამე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება 33 წევრით, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.“.
3. დადგენილების დანართის 52-ე მუხლის მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. საკრებულოს მორიგი სხდომა გაიხსნება, თუ სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ სხდომის გახსნის დროისათვის საჭირო ქვორუმი ვერ შედგა, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნა შეიძლება გადაიდოს იმავე დღის სხვა დროისათვის, თუ ამ შემთხვევაშიც არ შედგა ქვორუმი, საკრებულოს თავმჯდომარე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ.პატარიძე
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილება ძირითადად განპირობებულია „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში საკრებულოს მიერ 2023 წლის 26 ივლისს განხორციელებული ცვლილებით. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში შეტანილი ცვლილება ასახულ იქნა საკრებულოს რეგლამენტის შესაბამის მუხლებში, რომელიც შეეხება გენდერული საბჭოს შემადგენლობის გაზრდასა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესს. ამასთან, რეგლამენტში დაკონკრეტდა საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნის, კონკრეტულად, ქვორუმის არარსებობისას, სხდომის გადადების პროცედურა.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით დადგენილების მიღებით, საკრებულოს №1 დადგენილება შესაბამისობაში მოვა 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებასთან. ამასთან, უფრო სრულყოფილი გახდება რეგლამენტის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2. **დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

3. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. **დადგენილების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ცაგური პატარიძე.

5. **დადგენილების პროექტის წარმომდგენი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი